გაზეთი ღირს:

თთვე	მან.	კ.	თთვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს დ გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი **საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1886 წელიწადი.

6-ს იანვარს, ორშაბათს დღეს.

ტფილისის კრუჟოკის დარბაზში იქნება გამართული

ბალი

სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოთ.

ბალი დაიწყობა 9 საათიდამ.

მანდილოსანთ შეუძლიანთ დაესწრონ გულ-ამოუჭრელი კაბებით.

ბილეთების ფასი ორ-ორი მანათია, ხორაზე კი სამ-სამი.

ბილეთები იყიდება შავერდოვის სააგენტოში და «კრუჟოკის» შვეიშარის მიერ. ბალის მოთავე იქნება კნეინა ბარბარე გიორგის ასული ბარათაშვილისა.

(2—1)

რედაქციისაგან.

რადგანაც ქართველთ ასოთ ამომწყობთ ჩვეულებათ ჰქონიათ ახალ-წლის მეორე დღე იდღესასწაულონ და ჩვენ ვერა გზით ვერ მოვაშლევინეთ, გუშინდლისათვის დანიშნული ნომერი დღეს გამოვიდა.

ტფილისი, 3 იანვარს.

აზიაში რუსეთი და ინგლისი ერთმანეთის მოპირდაპირენი და მოკამათენი არიან მფლობელობისათვის. ინგლისს აზიაში ერთი უშველებელი ქვეყანა უჭირავს, სახელდობრ, ინდოეთი, რომელსაც ისე უფრთხილდება და იცავს, როგორც თავის თვალის ჩინსა. ამ ინდოეთის გამო ინგლისი მტერია რუსეთისა, როგორც ევროპაში, ისეც აზიაში. ევროპაში ინგლისი იმისი მცდელია, რომ რუსეთმა ბალკანის კუნძულის მხრით გზა არ გაიხსნას სტამბოლისაკენ, სტამბოლი არ დაიჭიროს და ამით ხმელთა შუა ზღვაზედ გზა არ შეუკრას ინგლისს ინდოეთისაკენ. აზიაში კიდევ იმაზედ უფრთხის რუსეთსა, რომ რუსეთმა თავის მსვლელობაში თავისი მფლობელობა ინდოეთამდე არ გადაჭიმოს, საზღვარი ახლოს არ მიიტანოს და ამ გზით ინდოეთის მფლობელობას ინგლისისას ცხვირ-წინ ძლიერი მტერი არ აუჩნდეს. ინდოეთსა და რუსეთს შუა ერთი თავისუფალი ქვეყანაა, სახელდობრ, ავღანისტანი, რომელიც ამ სახით მომწყვდეულია ორთა დიდთა სახელმწიფოთა შორის. რუსეთი ამ ქვეყნისკენ ისტორიის ძალ-დატანებით იწევს წინ და ინგლისს ეგ ძალიან არ მოსწონს. ვიდრე ეს ქვეყანა თავისუფალია, რუსეთს ინდოეთამდე წინ ხარიხასავით გადებული ექმნება და თუ ოდესმე რუსეთი მოიწადინებს ინდოეთს კლანჭი გამოჰკრას, ჯერ ავღანისტანი უნდა გადალახოსო. რაკი საქმე ამ გადალახვაზე მისდგება, მაშინ რუსეთს ჯერ დრო მოუნდება გადალახვისათვისა და ეს შემთხვევას მისცემს ინგლისს დასახვედრად მომზადებისათვის და მერე ინგლისს რუსეთთან საომრად მომხრე ეყოლება, რადგანაც ავღანისტანი თავისუფლებას უსისხლოდ არ დაუთმობსო. მოკლედ რომ ესთქვათ,—ამაში მდგომარეობს ეგრეგ წოდებული ავღანისტანის საქმე. ეს საქმე გლადსტონის სამინისტროსაგან მომწიფებული გასათავებლად, მისმა მოადგილემ, სალიუსბერის სამინისტრომ დაასრულა და თუმცა პირველშივე ცოტაოდნად სისხლიც დაიღვარა, მაგრამ მაინც უომრად და მშვიდობიანად გათავდა.

ამ საგანზედ რუსეთსა და ინგლისს შუა მორიგება ჩამოვარდა, რუსეთსა და ავღანისტანის შუა საზღვარი დაიდვა და ადგილობრივად საზღვრების დასანიშნავად კამმისია დღეს ორივე მხრით არის გაგზავნილი. თუმცა ჯერ ხანად ეს საქმე გათავდა, მაგრამ, ამბობენ, ინგლისს გულში ხვანჯი ჩაჰყვაო.

რაკი ავღანისტანის საქმე გათავდა, ევროპის დიპლომატიას საღეჭი შემოაკლდა და გაზეთებს—საგბილო. გაზეთებს სალაპარაკოც სულ გამოელევოდა, რომ წარსულის წლის მეორე ნახევარში ინგლისში გლადსტონის სამინისტროს არ დაეთმო თავისი ადგილი თვისდა მოპირდაპირე დასისათვის, რომლის მოთავეთაც სალიუსბერია, მას აქედ, რაც რუსეთის დაუძინებელი მტერი ბიკონსფილდი გარდიცვალა. ამ სალიუსბერის მინისტრობამ ააყაყანა ევროპის ჟურნალ-გაზეთობა; ამბობდნენ, რომ გლადსტონის მშვიდობის მოყვარულს პოლიტიკას ბოლო მოეღებაო და განსაცდელით სავსე დრო დადგებაო. ეს წინასწარ-თქმა უსაბუთო არ იყო, იმიტომ რომ სალიუსბერი იმ დასის კაცია, რომელსაც რუსეთის გაძლიერება თვალში ვერ მოსდის, ყოველს საქმეს რუსეთისას ალმაცერად უყურებს. თუ სალიუსბერის გამინისტრების უმალვე არა მოხდა-რა საშიშარი, ეგ იმიტომ—რომ ინგლისში დეპუტატთა პალატისათვის ახალი არჩევანი უნდა მომხდარიყო. ყველანი, არამცთუ მარტო ინგლისელნი, არამედ მთელი ევროპა, დიდის გულმოდგინებით ელოდდნენ არჩევანის გათავებას, იმიტომ—რომ თუ ინგლისი სალიუსბერის თანამოზიარეებს დასვამდა ამ ხანად პალატაში, სალიუსბერი თამამად და გაბედვით დაადგებოდა თავისის დასის პოლიტიკასა. ამ პოლიტიკას შეუფერებდა ბისმარკის პოლიტიკას. ბისმარკის პოლიტიკას, რასაკვირველია, აჰყვებოდა ავსტრო-ვენგრიაცა და მაშინ სახელგანთქმული ზავი სამთა იმპერატორთა *) დაირღვევოდა ინგლისის სასარგებლოდ.

ეხლანდელი მბძანებელი ქვეყნისა «რკინის კანცლერი» გერმანიისა — ბისმარკი ვერ იშვნევდა გლადსტონის მინისტრობას ინგლისში. იგი ყოველს ღონეს ხმარობდა, ფეხი წამოეკრა გლადსტონისათვის და, როცა გლად-

---

*) რუსეთმა, გერმანიამ და ავსტრო-ვენგრიამ ერთმანეთში ზავი დასდვეს სამარად მშვიდობიანობისა. სკვერნევიცში ინახულეს სამთა იმპერატორთა ერთმანეთი ამ ზავის გასამტკიცებლად და რუსეთის იმპერატორმა და ავსტრიისამ ნახეს ერთმანეთი კრემზიერში.

ფელეტონი

ახალი წელიწადი.

(ამხანაგთა შორის.)

მეგობრებო! ჩვენის ქვეყნის ჩვეულებას მივსდევ ძველსა
და გილოცავთ: შეგასწროთ თქვენ ღმერთმა მრავალს ახალს წელსა!
თქვენს გულს ღმერთმან სიმხნე ჰმატოს, ხელებს ღონე, ჯანი წელსა,
რომ ყველა კარგს მხარი მისცეთ, აწინდელს და უწინდელსა.

ძმებო! ეს დრო მირბის, მიჰქრის, მუსრავს, რაც კი წინ შეხვდება,
ძველს აქრობს და ახალს ჰბადავს,—კვდება, რაც კი იბადება...
ერთს ვისურვებ: აქ ჩვენგანი ისე ნურვინ ნუ მოჰკვდება,
ვერ მოილოს რამ ნაყოფი, რაც კაცობას მოუხდება.

მინამ შორს გვყავს ჩვენი სატრფო, გულში ცეცხლი გვიტრიალებს,
სული ჰშფოთავს, გული ჰკვნესის და აკრთოლვენ თვალნი ალებს;
აქ ყოფნაში თავის-თავსა ყველა მოძმეს ანაცვალებს,
ხოლო იქ კი საამდღეოს ხშირად გაახვალის-ხვალებს...

რაც გულში აქვს, ენით უბნობს—საქმით ვერ იქს ვერვინ იმდენს.
ცა ჰქუხს, ჰგრგვინავს, ჰჭექავს, ელავს,—ჰსდუმებს, რა რომ ცოტას იდენს.
ძმებო, ერთს გთხოვთ:—რაც არ ძალგვიძს, იმას ღმერთიც როდი გვიწყენს,
მაგრამ კარგს თუ არვინ იზამს, ბოროტს მაინც ნუ ჩაიდენს!..

თუ ყველანი ჩვენ ერთმანეთს სულს და გულს ვერ გარდაუშლით,
ეს მაინც ვქნათ: კეთილ საქმეს შურით ურთ-ერთს ნუ დაუშლით,
ცილითა და ლალატობით კვალს აღბეჭდილს ნუ წაუშლით,
და თუ ტუჩთ ვერ ვეამბოროთ, ყბაში მაინც ნუ გაუშლით.

ძმებო! თუ გვსურს ძალა გვქონდეს, მოვიტანოთ რამ ნაყოფი—
ერთად ვთესოთ, ერთად მოვმკათ! ან კი რა გვაქვს გასაყოფი?
განყოფას და ლალვას, ამბოხს ვინ იკადრებს, თუ არ ცოფი,
მომკალ თუ თქმულს დამიწუნებს კაცი ვინმე ჭკვათა მყოფი.

ესეც ღმერთმან აღეგრძელოს, ვის უღვივის კვლავ იმედი,
ვის ახარებს, ვის აცოცხლებს ერის, ქვეყნის კარგი ბედი,
ვინც არ ზოგის კეთილისთვის სიცოცხლე და თვისი მკერდი!..
გაუმარჯოს ლვაწლ დამდებსა! მეგობრებო, ალლავერდი!

სილოვან.

ს.-პეტერბურგი.

ვინ რას ინატრებდა ჩვენში ახალს წელიწადის დღეს.

ქართლელი:

ნეტავი რამე მანატრა,
ის ნატვრა ამისრულაო:
ჩვენი მტკვარი დოთ მიქცია,—
გორის ციხე ჯამათაო;
იალბუზი შიგ ჩაყარა,
გადმიქცია ჰადათაო;
მცხეთის ხიდი ამიყუდა
ხელში მომცა კოვზათაო;
ისეთი მუცელიც მქონდეს
რომ მეყოს მე სამხრათაო.»

კახელი:

ნეტავი, ნატვრა მანატრა,
ის ნატვრა ამიხდინაო:
მუხრან-ბატონი ყმათ მომცა
კახის ბატონის ბინაო;
მომცა ყაინის ულური,
ხონთქართან გამიდინაო,
ჰავჰავაძის კარგი ღვინო
მილით შინ მომიდინაო.

იმერელი:

ნუ გამომილიოს სახლში ღომი, ბეღელში — სიმინდნი, ქესაში ღერბოის «მარკები», მაშოვიოს მუქთი «ადვოკატი», მე რომ არ მეკუთვნის ისთე ტყუილა ჩამანაშოვრებიოს მოძმისა და მეზობლის მამულები; ჩემი სუფრა იყოს დაშვენებული ზუთხით, დოშით და ხიზილალით. ღვთისა და ხელმწიფის წყალობა ნუ მომიშალოს, ნუ მომაკლოს ჩემი ზრდილობა, ჩემი მოსწრებული სიტყვა-პასუხი, საქმეში კაჟი მქნა, საგონებელში კვესი, ერთის და მეორესათვისაც ადვილად ცეცხლ-მოსაკიდი აბედი მქნა.

მეგრელი: ღორონთის წყალობამ ნუ მომაკლოს, ლაზუტი (სიმინდი), ღუმი (ღომი), სულუგუნი (ყველი), მაშოვიოს კაი ღარ-დასმული ლაფშა მუქთად, ისე, ჩქირო გვიჩქინა, ინერში რო გოსხაპას, მომცეს ჯგირი ყანჯო რომ ყირიმის მარილი და ფარგა ეზიდო; ქალაქ ტფილისში გამეღოს კაი ტრახტირი, სადაც სტუმრის პორტმონე მოუბარებლად მე მებარებოდეს; ღორონთმა მიჰყაროფას რკინის გზაზედ კონდუქტორობა და ირიფერი ხელობა ზღვისა და ხმელეთისა, რომ ხელთ ვიგდო ზღვა და ხმელი; მომცეს ოდიშში — ტყე და სახნავი, რაც დადიანს ეკუთვნოდა.

რაჭველი: ქვე მე რას არ ვინატრებ ჩემთვის, წმინდა ბასილმა ნუ გამომილიოს მარჯვენაში ღონე, ბეღელში პური, სახლში ქათმის შაშხები და ღორის ლორები, საქართველოში სამუშაო: ბარვა, სხვლა, ოდის დადგმა... კი ქირი მოგჭამე!.. არ დამიჩლუნგდეს ხერხი, ცული, ხუშტარა, ჩულუხი .. ჰხერიტოს ჩემმა საჭრეტელმა და ჰწკიპოს ჩემმა ნაჯახმა, არ დამირჩეს ნაშური, არ მიმტყუნოს ზუზამ და გონიომ; ქანიშკაპი კაი მომაყვანიოს და ნარიმანი აფრად არ დამრჩენოდეს, კახური ღვინო ბევრი შემასვას, ღორის ხორცი შემარგოს და საალდგომოდ შინ მშვიდობით მიმიყვანოს ჩემს სახლუკაში.

გურული: ჯერ წაიღებს ძვალს საწნახელზე და არაკუნებს და იძახის: «აგუნა, აგუნა! (მავნე სული) ჩვენს ქალებს ბევრი ყაჭი დ აბრეშუმი არგუნა... მერე საახალწლოდ გააკეთებს ჩიჩილაკს *), რომელზედაც ჯვარედინად დაარჭობს ვაშლებს, მოვა და ინატრებს: უპირველესის მწერლის ნიჭს, დათა გუგუნავას გალობას, კილოს და მიმოხვრას, დიმიტრი გურიელის ოქრო-ვერცხლს, გამოჩენილის კაცის ლონე-ვარჯიშობას და ვაჟ-კაცობას, მამიას ენა-მჭევრობას, სიტყვა წყლიანობას...

ფშაველი: «მრავალს წელს ბედნიერათა!... ჩემი ხმალი მტერზედ მძლე იყოს, არ გადატეხილიყოს, ჩემი დროშა—ალამი გაშლილი მტერს თვალს უბამდეს, ჩემს ტყვიას ლიშანი ჰკოცნიდეს, მტერი დამემარცხოს, მიმატოს წლის აკვანსა, იმოდენ საჩრო-საბადებელ, ჯოგ-საქონელი მომცეს და მიმრავლოს, როგორც ცაში ვარსკვლავი, წყალში ქვიშა!...

ხევსური: «წმიდაო ბასილ! შენ დღეს შენ შემხვეწურს ნუ მომიწყენ, ნუ მომიძულებ!.. გეძახოდე—გამიგონიდი, გეხვეწებოდე — შემიხვეწიდი, თაეობის წულისად გეხვეწებოდე — წულს მომიმატიდი... ჩემსა მყუდროშია პურის მჭამელსა, წულის აკვანსა, აბჯრის ამღებსა, მეკვამურსა მწე ექმენ... იწროს ვიყო ფონს გამომასხემდი, სნეულს გახვეწებდე —სნეულს მილხინიდი, თუ ველთ გავიდოდე, აბჯარს აგიღებდე—შენი დოვლათი დამახმარიდი, მტერს მივდევდე—მიმწივიდი, მტერი მომდევდეს—გამომახზევდი; ავის დღისაგან, ლალის მტრისაგან, მწარის სიკვდილისაგან მიხვაიშნიდი, ზავხული მშვიდობით გადამარიდი, სთველი მხრიან-ბარაქიანი დამიყენიდი, ხარისა და მხრის ნამაშავრადს ჯვარი დამიწერიდი, მშველდი, მწყალობდი, მცევდი, მფარევდი!.. თუ რა შეგცოდო, თუ რა შეგაწყინო: პირის ქარითა, ფეხის ჩქამითა—შემინდვიდი, აგრემც გაგემარჯვება!.. შენ ხევსურთ თავ-ჯალაბობისა, ორფეხ ოთხ-ფეხისა, კაცისა, საქონლისა, ქუდოსან მანდილოსანისა მწყალობელ და წალმამდეგ იქმენი, ბატონო, ღმერთო ჩვენო!..

თ. რაფ. ერისთავი.

---

*) ჩიჩილაკი—თხილის ჯოხია, იმოდენად ნაფხეკი, რომ ნაფხეკები ნაშალაშინევ ბურბუშელასავით ჰკიდია, ვითომც იგავად წმიდის ვასილის წვერისა, რადგან ამ წმიდანის დღეობაა.

სტონის სამინისტრომ მოახდინა ლონდონში ეგვიპტის საქმეთა გამო კონფერენცია, ასეთი მოგვერდი ჰკრა გლადსტონსა, რომ მისი სამინისტრო მაშინვე წაბარბაცა. მას დღეს აქედ მოულხვა გლადსტონს ფეხ-ქვეშ მიწა და ბოლოს ისეც მოხდა, რომ გლადსტონი იძულებულ შეიქმნა გადამდგარიყო. ღირს-საცნობია ასეთი ქცევა ბისმარკისა, რომელიც გერმანიას მშვიდობიანობის მცველად ჰსთვლის საქვეყნოდ და ინგლისში კი მშვიდობიანობის მოყვარულს გლადსტონს ფეხს ასხლეტინებს და სალიუსბერის—განსაცდელების მოყვარეს ჰრჩეობს. ავსტრია, რომ არ სწყალობდეს გლადსტონსა, ეგ ადვილად დასაჯერია, იმიტომ—რომ, როცა ავსტრიამ ჩვეულებისამებრ უჩუმარად ხელი გაიწვდინა ბალკანიის კუნძულისაკენ, გლადსტონმა თავმოწონებით დაუძახა: «ხელები უკანო».

ქვეყნის ყურადღება მიქცეული იყო აგრეთვე საფრანგეთზედაც, საცა, როგორც დეპუტატთა პალატის წევრთა არჩევანი უნდა მომხდარიყო, ისეც რესპუბლიკის პრეზიდენტისაცა. ინგლისი და საფრანგეთი—ეს ორი დიდი და ძლიერი სახელმწიფო—იმისთანა სახელმწიფონი არიან, რომელთ შინაური ანუ საგარეო პოლიტიკა იმა დასის მიხედვით იცვლება და მიმავლობს, რა დასის დეპუტატთა უმრავლესობა იქმნება ქვედა პალატაში წარმოგზავნილი ერისაგან. პოლიტიკის ცვლილებაზედ დამოკიდებულია მომხრეობა ერთმანეთისა სახელმწიფოთა შორის. რადგანაც დღეს პოლიტიკა იმაზედ ტრიალებს,— თუ ვინ ვის მიჰკერძავს, ვინ ვის მიემხრობა, ამის გამო ცხადია, რადა აქვს იმისთანა მნიშვნელობა არჩევანს ინგლისისას და საფრანგეთისას.

ვიდრე ეს არჩევნები გათავდებოდა, ევროპაში უეცრად გატყვრა ბოლგარიის საქმე. უკვე მოგეხსენებათ რომ აქ უკანასკნელ ომში ძლევა-მოსილობა დარჩა რუსეთსა და ამა ძლევა-მოსილობის შედეგი ჩრდილოეთ ბოლგარიის განთავისუფლება იყო ოსმალოს ხელიდამ. ხოლო სამხრეთ-ბოლგარია, ანუ ეგრედ წოდებული რუმელია დაჰრჩა ისევ ოსმალეთსა ბერლინის ხელ-შეკრულობისაგამო. ესე ორად დაყოფილმა ერთ გვარტომობის ერმა მოიწადინა შეერთება ერთმანეთთან და 6-ს სეკტემბერს წარსულის წლისას მოულოდნელად ეს ამბავი მოახდინა და მთელი ევროპა გააოცა და აშალა. რადგანაც ჩვენს გაზეთს ამა მართლა და საოცარ ამბის გამო ბევრი რამა აქვს სათქმელი და ვშიშობთ საპოლიტიკო საუბარი ერთის ნომრისათვის მეტად გრძელი არ გამოვიდეს, ბოლგარიის საქმეთა გამო ლაპარაკს შემდეგს ნომერში განვაგრძობთ.

დეპეშა

დეკემბრის 30.

ხარკოვი. თავად-აზნაურთ კრება ითხოვს, რომ ახლად შემოღებული გარდასახადი მამულების ხელიდამ-ხელში გადასვლისათვის არ გამოერთვათ იმ თავად-აზნაურთ, რომელთაც უსასყიდლოდ რჩებათ მემკვიდრეობით სათავად-აზნაურო მამულები.

ბელგრადი. სერბია თხოულობს, რომ მოლაპარაკება ბუქარესტში გაიმართოს.

კაირი. შაბათს რჩევის დროს, რომელშიაც ქედივი თავსმჯდომარეობდა, მუხთარ-ფაშამ სთქვა, რომ სუდანი უინგლისელებოთ მხოლოდ ეგვიპტის ჯარის შემწეობით დამშვიდდებაო.

დეკემბრის 31.

პეტერბურგი. საყოველთაოდ გამოცხადდა ახალი წესი პეტერბურგის ზარაფ-ხანის მართვისა და მოქმედობისა.

გამოცხადებულ იქმნა ახალი წესი ფულის მოჭრისათვის. სხვათა შორის გადაწყდა: ოქროს ფული თუმნიანი და ხუთ-მანათიანის ღირებულებისა მოიჭრას; 900 წილი ხალასი ოქრო ერევა და 100 წილი სპილენძი ათასში; ვერცხლის ფული მოიჭრება მანათიანი, ათ-შაურიანი და ხუთ-შაურიანი, 900 წილი წმინდა ვერცხლი ერევა და 100 სპილენძი, დასახურდავებელი წვრილი ვერცხლის ფული მოიჭრება აბაზიანი, სამშაურიანი, ორშაურიანი და შაურიანი, ერევა 500 წილი წმინდა ვერცხლი და 500 სპილენძი ათასში.

სასმელების წვრილ-წვრილად გამსყიდველ სამიკიტნოებს უნდა დაურიგდეს პატენტები, ანუ მათი სამაგიერო მარკები თუთუნისა და პაპიროზის გასყიდვისათვის და მათი გასყიდვის ნება უნდა მიეცეს ყველა წვრილ-წვრილად სასმელების გამსყიდველ სამიკიტნოებს.

«*Journal de st. Petersburg*» გვაუწყებს, რომ რუსეთის წინადადება ბოლგარიისა და სერბიის მიერ თოფ-იარაღის აყრის შესახებ ყველა სახელმწიფოებმა მიიღო. გაზეთი იმედოვნებს, რომ ამ მხრივ თანხმობა სახელმწიფოებისა საფუძვლად დაედება შემდეგს დიპლომატიურს მოქმედებას, რომელიც დაფარავს აღმოსავლეთს ახალ განსაცდელისაგან.

«ნოვოე ვრემია» სწერს, რომ ფიქრობენ მრეწველობისა და ვაჭრობის დეპარტამენტი გამოსწირონ ფინანსთა სამინისტროს და შეუერთონ სახემწიფო ქონებათა სამინისტროსა.

ექიმების კრებამ დაადგინა: იშუამდგომელონ რომ მიეცეთ ექიმ-ქალებს უფლება ექიმობისა, როგორც კაცებსა აქვთ და არ მოისპოს არსებობა საქალებო საექიმო კურსებისა. კრება დაიშალა.

მომრიგებელ სასამართლოთა მოქმედების განსავრცობად სახემწიფო რჩევამ სხვათა შორის, დაადგინა: ვინც ტყუილს პასპორტს, ბილეთს და სხვას ამისთანას შეადგენს, ან სახელს გამოსცვლის, თუნდ განზრახაც არ მოუვიდეს, ციხეში ჩასმენ 38 მუხ. პირველის ანუ მეორის ხარისხის მიხედვით. ვინც პასპორტში მოხსენებულ ვადას, ანუ საცხოვრებელს ადგილს გამოსცვლის, ციხეში ჩასმენ მეორეს ანუ მესამეს ხარისხის მიხედვით. ვინც ამ გვარს საქმეს ხელობად გაიხდის, ჩამოერთმევა ყველა განსაკუთრებული უფლება, პირადი და წოდებრივი და გაიგზავნება ციმბირში საცხოვრებლად, ანუ მიეცემა დასასჯელად სატუსაღო განყოფილებას (исправительныя арестантскія отдѣленія), მე-31 მუხ. მეხუთე ხარისხის მიხედვით. ვინც თავის ბილეთს სხვას გადასცემს საცხოვრებლად ანუ სადმე წასასვლელად, ანუ განგებ ილოერებს და წავა და წამოვა სადმე ქუყილის ანუ სხვის ბილეთით, ციხეში ჩაისმება მე-38 მუხ. მესამე ხარისხისამებრ და ნაობახტში ჩაისმება მე-39 მუხ. პირველის ხარისხისამებრ.

კონსტანტინეპოლი. ხონთქარმა ძალიან იწყინა, რომ საფრანგეთის ელჩმა წინადადება მისცა მცირეოდენი მიწა-წყალი დაუთმე საბერძნეთისაო.

მადრიდი. რამდენმამე სერჟანტმა ერთის გუნდის გლეხ-კაცებითურთ დაიპყრა ღამე კართაგენის ახლო მდებარე სიმაგრე, დაჰკრა ღენერალი, რომელიც ურჩევდა დაგვნებდითო; მაგრამ შემდეგ, დაინახეს, რომ მეციხვანენი ფიცს არ ღალატობენ, გაიქცნენ. ქალაქი დამშვიდებულია.

ბელგრადი. დღეს სახელმწიფოების წარმომადგენელთა მიერ გარდაცემული საერთო ოქმი ითხოვს თოფ-იარაღი აიყაროს სერბიამ, ბოლგარიამ და საბერძნეთმა და ამასთან ჰპირდება, რომ ოსმალეთიც მაგასვე იქმსო. მეორე დესპანად შერიგებაზე მოლაპარაკების დროს, სერბიამ დანიშნა გენერალი ლეშანინი.

კოროლი სერბიისა თავის სამხედრო შტაბით დღეს ნიშიდამ დაბრუნდა.

იანვრის 1.

პეტერბურგი. გუშინ ხემწიფე იმპერატორმა და ხემწიფე იმპერატრიცამ კეთილ-ინებეს და თავიანთ უავგუსტოესის შვილებით გადმობძანდენ საცხოვრებლად გატჩინოდამ პეტერბურგს.

დღეს სასახლეში შეიკრიბნენ, რათა მიულოცონ მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა ახალი წელიწადი.

სტატს-სეკრეტარი დურნოვო დაინიშნა სახემწიფო რჩევის წევრად და განთავისუფლებულ იქმნა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის თანამდებობიდამ; სეკრეტრისა და სენატორის წოდება კი ისევ ექმნება მიკუთნებული. ხოლო რიაზანის გუბერნატორი, თავადი გაგარინი დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგათ და ტაინი სოვეტნიკობა ებოძა.

უმაღლესად ებოძათ ჯილდო: სახემწიფო რჩევის წევრთა: უბრის, გალავინს, და კორნილოვს—ბრილიანტის ნიშნები ალექსანდრე ნეველისა, მანსუროვ მეორეს და მ-რკურს—ჩინი დეისტვიტელნი სტატსკი-სოვეტნიკობისა, გუბერნატორებს: ვოლქოვს, ტაინი სოვეტნიკის ჩინი, ორლოვსკისას—ბაბარიკინს—ორდენი თეთრისა არწივისა, პოლტავისას—ზანკოვსკის წმ. ანნა პირველის ხარისხისა, სატუსაღოთა მთავარ-სამმართველოს უფროსს გალკინს—ვრასკინს წმ. ალექსანდრე ნეველისა, დირექტორებს: სამეურნეო დეპარტამენტისას—ვიშნიაკოვს—თეთრისა არწივისა, სასულიერო საქმეთა უცხოელთ რელიგიურ მოძღვრებათა—კანტაკუზინს და პოლიციისას—დურნოვოს და ფოსტისა და ტელეგრაფის უფროსის თანაშემწეს სკალკოვსკის—წმ. სტანისლავისა 1-ის ხარისხისა, ვოლოგოდის გუბერნატორს კორმილიცინს და ოდესის მელიქს—ზელენოის იგივე ორდენი, საერო განათლების დეპარტამენტის დირექტორს ანიჩკოვს—ჩინი ტაინი სოვეტნიკისა, საერო განათლების სამინისტროს რჩევის წევრს გეორგიევსკის—ორდენი წმ. ალექსანდრე ნეველისა, საერო განათლების მზრუნველთა: დერპტისას კაპუსტინს, კავკასიისას იანოვსკის—ორდენი თეთრისა არწივისა, ყაზანისას მასლენიკოვს და ორენბურგისას მიხაილოვს ჩინი ტაინი სოვეტნიკისა.

გამოცხადებულია სახემწიფო შემოსავალ-გასავლის ფურცელი 1886 წლისათვის. სახელმწიფოს ჩვეულებრივის შემოსავლის ჯამი აღრიცხულია 787,463,691 მან., ჩვეულებრივის გასავლის ჯამი 812,751,030 მანეთია. ასე რომ ხარჯი გადამეტებულია შემოსავალზე 25,287,000 მანათით. ამას გარდა ფურცელში დანიშნულია არა-ჩვეულებრივი ხარჯი რკინის გზებისა და ნავთ-სადგურების საკეთებლად 52,643,240 მან., რომელიც უნდა გასტუმრებულ იქმნას წინანდელ ვალთან ერთად არა-ჩვეულებრივ შემოსავლიდამ. თავის მოხსენებაში მინისტრი ამბობს, რომ 25 1/4 მილიონი დეფიციტი აღებ-მიცემობისა და მრეწველობის გაჭირების შედეგიაო. ეს გაჭირება თანაბრად ეწვია ყველა გვარის წარმოებას, როგორც რუსეთში ისე დასავლეთის ევროპის ზოგიერთს სახელმწიფოებშიო: მაშინ როცა არა-ჩვეულებრივი დასახარჯი 52 2/3 მილიონის რაოდენობისა განსაკუთრებით დანიშნულია რკინის გზებისა და პორტების გასაკეთებლადაო. ფინანსთა მინისტრი ამბობს, რომ შემოსავალ-გასავლის გათანაბრება, გასწორება შეუძლებელია წინანდელის ხარჯის მომატებით ან ახალის დაწესებითაო, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ამ ფულის მოხერხება არ გაჭირდებაო და რომ ერთი წილი მაგ ფულისა ნაღდად არის კიდეცა, ერთი წილი შემოსასვლელიაო, ერთი წილი გადაიხდება საკრედიტო ოპერაციების შემწეობითაო. დასასრულ ფინანსთა მინისტრი ამბობს, რომ ყველა გვარ საერო წარმოების გაჭირების და კერძო სამუშაოთა შემცირების გამო, მათი იმპერატორებითი უმაღლესობის რჩევით სხვა-და-სხვა ღონის-ძიებას მიემართეთ იმის გარდა, რომ დიდი ფული გადაიდო რკინის-გზების გასაკეთებლათ: საადგილ-მამულო ბანკმა თავად-აზნაურთათვის უკვე დაიწყო მოქმედება; 12 განყოფილებათა გარდა, რომელიც დაარსდა 1885 წ. დეკემბერს, კიდევ უნდა დაარსდეს 14 განყოფილება ამ წელს თიბათვემდე, სულ 36 გუბერნიაში.

სათავად-აზნაურო ბანკის შემწეობით მემამულე თავად-აზნაურთ შესატანი გარდასახადი ხანგრძლივის სესხების მოსაშორებლად შემცირდება $^1/_5$ და იქნებ $^1/_4$-დათაც.

2). სულზედ გადასახადი ყველა გლეხთათვის სახელმწიფო გლეხთ გარდა მოსპობილ იქმნა. ამ წყალობას მეფისას უფრო იგრძნობს ხალხი მაშინ, როცა გადაისინჯება კანონები სულზედ გადასახადის მოსპობისა, ურთიერთობრივის თავდებობისა და პასპორტებისა.

3) მრეწველობის ასაღორძინებლად იმ ღონის-ძიებას მიემართეთ, რომ ფინლიანდიაში შევამცირეთ წარმოების გასაძლიერებლად შემოღებული წესები. ამას გარდა მომეტებული ბაჟი დაწესდა იმ საქონლისათვის, რომელიც ევროპის სამზღვრიდამ მოდის. 4) მოქმედებანი სახელმწიფო ბანკისა განვრცელებულ იქმნა პოლშის სამეფოზედაც და ამასთანავე სარგებელი, რომელსაც იგი ახდევინებს, 1% იქმნა შემცირებული. საგლეხო ბანკმა 1885 წ. 8 განყოფილება დააარსა. 26 შიმა განყოფილებამ 1885 წლის 1-ლ იანვრამდე გასცა სესხი 32 1/4 მილიონის მანათისა. 5) განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ფინანსთა სამინისტრომ სესხების გაცემის გახშირებას საქონლის დაწინდვით. ამ საქმეს დაეხმარება საქონლის საწყობისა და ვარანტების შესახებ გამოცემული კანონი, რომელიც წარსულს სესიის დროს იქმნა შეტანილი სხელმწიფო რჩევაში. 6) რკინის ქარხანათა შემწეობისათვის 1885 წ. ხაზინის ხარჯით შეკვეთილ იქმნა რკინის გზებისათვის 6 3/4 მილიონის საქმე. 8) შაქრისთვის ბაზარის გასახსნელად, რომლის ფასი უფრო ნაკლებია, ვიდრე თვით წარმოება ჯდება, შესაფერი ზომა იქმნა მიღებულ. შაქრის ფასის დაცემა ჭარხლის დიდის მოსავლის შედეგი იყო და ამასათვის ჯილდო ეძლეოდათ იმათ, ვინც შაქარს სამზღვარს გარედ გაიტანდა გასასყიდად. ეს ჯილდო უნდა დაბრუნებულიყო 4 წლის განმავლობაში.

იანვრის 1.

უმაღლესად ებოძათ ჯილდო: სენატორებს ცეეს და ბერს ორდენი წმ. ალექსანდრე ნეველისა, აგალინს და ლევგოს—თეთრისა არწივისა, ვიაზემსკის, აბაზას, კუდრიავცევს, გულკევიჩს, პრინცს, დეიერს და ბარტენიევს—წმ. ვლადიმირისა მე-2 ხარისხ., შახოვსკოის, ლანგეს, ტიზენგაუზენს და დმიტრიევს—წმ. ანნა 1-ის ხარისხისა და დირექტორს კავკასიის მუზეიისას და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკისას რადდეს—წმ. სტანისლავისა 1-ლის ხარისხისა.

«ნოვოე ვრემია» სწერს, რომ სრულიად აეკრძალა სხვა და სხვა უწყებას შეუკვეთოს საჭირო მასალები სამზღვარ გარედ, თუნდ მათი მომზადება რუსეთში პირველ-ხანად ვერ ხერხდებოდესო.

ბლაგოვეშჩენსკი. ჟელტუგინის ოქროს მადნებში დიდი არეულობა და კაცის-მკვლელობაა; ვაჭრების მდგომარეობა შესაბრალისია. ჩინეთის ღერენალმა გამოუცხადა ხალხს, რომ 4 იანვრისთვის დაანებოს თავი მადნებს. ჩინელი ოქროს მწარმოებელნი შეიარაღებულნი არიან, ერთად აქვთ თავი მოყრილი, და სთხოვენ რუსის მუშებს წინააღმდეგობას ნუ გაგვიწევთო; რუსებს პასუხის გებისა ეშინიანთ და ცდილობენ არ გაერიონ საქმეში, მაგრამ ისეთს გაჭირვებულს მდგომარეობაში არიან, რომ სიმშილით სიკვდილი მოელით და ეს გარემოება აიძულებს მათ თავიანთ თავი დაიცან. ხვალ გაემგზავრება ბლაგოვეშჩენსკიდამ იგნაშინოში ასი ყაზახი, რომ, ვინიცობაა, უწესოება მოხდეს, მშვიდობიანობა დაამყარონ.

იანვრის 2.

პეტერბურგი. უმთავრესნი მოგებანი 1-ის შინაგანის სესხის დღევანდელის ტირაჟისა შემდეგს ბილეთებს შეხვდა:

№ სერიისა	№ ბილეთისა	მოგება
10,048	40	200,000
16,745	26	75,000
7,785	1	40,000
324	17	25,000
12,557	15	10,000
19,456	15	10,000
9,791	15	10,000
6,602	9	8,000
12,120	6	8,000
518	2	8,000
3,510	23	8,000
17,155	50	8,000

1,364	9	5,000
13,820	18	5,000
19,014	28	5,000
9,652	32	5,000
11,364	30	5,000
14,716	13	5,000
5,700	7	5,000
45	33	5,000
3	14	
.131	47	
19,038	38	
11,963	35	
16,457	12	
7,061	17	
1,638	42	
5,952	22	
7,285	5	
16,428	36	
17,857	44	
15,183	6	
11,869	14	
12,810	46	
1,651	2	
3,788	35	
3,168	18	
17,197	15	
8,289	23	
480	6	

ბელგრადი. გარიშანინს კოროლმა მილანმა მისწერა წერილი, რომელშიაც მადლობას უხდის ჯარსა და ერს მოვალეობის აღსრულებისთვის ომიანობის გაჭირებულს დროს და შენდობას უცხადებს 1883 წლის აჯანყებისათვის დასჯილთ დამნაშავეთა.

ბელგრადი. ბევრნი მოქალაქენი პიროტისა სამართალში მიცემულ იქმნენ, რადგან დაჰბრალდათ ჯაშუშობა და ბოლგარების დახმარება, მათ რიცხვში ქალაქის თავიც ურევია, რომელსაც დააბრალეს, რომ მან უჩვენა მტერს თითქმის მიუდგომელი გზა იზვორისკენ, რის გამო მტერმა წინიდამ მოუარა და ზურგთ უკან მოექცა.

ნიუ-იორკი. გერმანიამ დაიჭირა დიდის ოკეანეს კუნძული სამოა.

იანვრის 2.

პეტერბურგი. გამოცხადებულია, რა გვარად უნდა შეიცვალოს წესი არაყეულობის მომზადებისა და გასყიდვისა, დაწმენდილის არაყისა და სპირტისა, აგრეთვე ბადაგეულობისა რომელშიაც სპირტი ურევია.

კონსტანტინეპოლი. ხმები ისმის, რომ ხონთქარი თანხმაა რუმელიისა და ბოლგარიის გაერთებაზე, მაგრამ ითხოვს, რომ მთავარმა თავის ჯარი შეუერთოს ოსმალოს ჯარს იმ შემთხვევაში, თუ ამ გაერთებას მოჰყვება ომი ოსმალეთისა სერბიასა და საბერძნეთთან.

ბერლინი. პრუსიის სეიმის სხდომათა დაწყების დროს წაკითხულ იქმნა სეფე სიტყვა, რომელშიაც იმპერატორი იმედს აცხადებს, რომ მშვიდობიანობა არ დაირღვევაო.

პარიჟი. რესპუბლიკის პრეზიდენტმა გრევიმ შეუნდო დანაშაული 1870 წ. დასჯილ პოლიტიკურ დამნაშავეთა და შეუმსუბუქა სასჯელი ბევრს ჩვეულებრივ დანაშაულობისათვის მსჯავრ დადებულთა.

ახალი ამბავი

⁂ სიღნაღიდამ გვწერენ, რომ წარსული წელი სიღნაღელებისათვის მეტად ცუდი წელიწადი იყოო. ყოველის ფრის მოუსავლობა, პირუტყვისათვის უსაჭმლობა, განძვირებული საქონლის ჭირი, გაძლიერებული წითელა და უფულობა იყო წარსულის წლის სიკეთეო. ახალი წელიწადი კი ჯერ, ღვთის მადლით, კარგს ნიშნებს იჩენსო. აქაური ერი სიხარულით შეჰყურებს საკულაო მოსავლის მშვენიერს პირსა. თუ ჰაერმა არ უმტყუნა და გიჟმა მარტმა ბოლო არ მოიქნიაო, სიღნაღის მაზრაში ისეთი მოსავალი მოვა, რომ წარსულის წლის ზარალს ერთი-ორად დაჰფარავსო. ღმერთმა ქმნას, იმედიც კარგია!

⁂ «Новое обозрѣніе» მოგვითხრობს, რომ სოღანლუღის სახაზრო კოშკიდამ ორს ვერსტზედ რკინის გზის ხიდ ქვეშ თასმაზედ ჩამოკიდებული მკვდარი კაცი უნახავთ. მაშინვე უცნობებიათ ჩაფართა ურიადნიკისათვის. ჩამომხრჩვალი კაცი, როგორცა ჰსჩანს, რუსია, ქერა წვერ-ულვაშიანი, პალტო ჰსცმია და კარტუზი ჰხურებია თავს. ამბობენ, სალოდავს თვითონ დაუხრჩია თავიო.

⁂ იქავ ჰსწერია, რომ კონსტანტინოვეში მცხოვრებს ივანე ხოდკოვს, ტფილისიდამ მიმავალს, დაჰხვედრიან ავაზაკნი შათოფ-იარაღებულნი და თავიდამ ფეხებამდე გაუძარცვავთ. ეს მომხდარა კუმისის მინდორზედ, ვენახების ახლო. ავ-კაცებს წაუჭერიათ ხელში ხოდკოვისათვის და უქადდნენ თურმე სიკვდილს. მეორე დღეს კოდაში მოსულა ერთი ვიღაც კაცი და იგი ხოდკოვს უცვნია თავის გამცარცველად.

⁂ ექვს იანვარს სათავად-აზნაურო სკოლის შესაწევრად გამართული იქნება «კრუჟოკში» ბალი. მოთაურობა და გამგებელობა ბალისა უნებებია კნეინა ბარბარე ბარათოვისას. ტფილისის თავად-აზნაურთა საზოგადოება, ღარიბ მოსწავლეთა შემწეობისათვის დაარსებული, ყოველს წელიწადსა სწორედ ამ ნათელ-ღების დღეს ჰმართავს ხოლმე ბალსა, რომელსაც დაეკვება სახელი თავად-აზნაურთა ბალისა და რომელმაც ყველა სხვა ბალს თითქმის გადააჭარბა მით, რომ ტფილისის მთელი დიდკაცობა იკრიბება ხოლმე, მშვენიერი და მდიდარი მორთულობაა და ჭეშმარიტი მხიარულება. იმედია, რომ ახლად დანიშნული ბალიც მიიზიდავს ბლომად ჩვენს საზოგადოებას უწინდელებრ. ამბობენ, ქალები ეს ორი თთვეც არის ამ ბალისთვის ემზადებიანო.

⁂ ეგრედ წოდებულმა «ტფილისის სობრანიამ» დაიწყო თავისი ჩვეულებრივი საღამოები. 7-ს იანვრიდამ ყოველ კვირია სამშაბათობით და ხუთშაბათობით დანიშნულია საღამოობითი წვეულება.

⁂ გაზეთი «Кавказъ»-ი გვაუწყებს, რომ ტფილისში ვერაზედ ოლგის ქუჩაზედ დავ. ზაქ. სარაჯოვს გაუმართავს სპირტის ქარხანა. ამ ქარხანაში გადაიწმინდება თურმე პურის სპირტის გარდა ღვინის სპირტიცა პირველის ხარისხის არაყის საკეთებლად. ეს ქარხანაო, უმატებს გაზეთი, ფეხზედ აყენებს ჩვენში ჰაჯის არაყისა და სპირტის ხდასაო, დღეს ეგრე საცოდავად დაცემულსაო. ამისთანა ქარხანაო არა გვგონია სადმე კიდევ კავკასიაში იყოსო, ამბობს გაზეთი.

⁂ აქ, ჩვენში გუბერნატორად ყოფილი თავადი გაგარინი შინაგანთა საქმეთა მინისტრის ამხანაგად დანიშნულა და ტაინის სოვეტნიკობა ჰბოძებია.

ნაკვესი

ერთს მარხვა დღეს სახნურის მეცნიერი იოანე წერეთელი დაპატიჟა სადილათ მეგობარმა. სადილზე სხვა მოწვეულნიც იყვნენ, რომელთათვის სახსნილო საჭმელი იყო მომზადებული. წერეთელს კი მწვანილი და ლობიო მოართვეს.

— კნიაზო: ბალახს რომ სჭამ ძროხა ხომ არა ხარო, უთხრა ერთმა ბრიყვმა დათვმა კაცმა, რომელიც სადილზე იმის გვერდით იჯდა.

— მაშ ძაღლი ხომ არა ხარ მარხვაში ხორცი გჭამოო, უპასუხა წყენით წერეთელმა.

— მაშ მე ძაღლი ვარო? უთხრა პირველმა.

— მე კი ძროხა ვარო? ჰკითხა ფილოსოფოსმა.

მეფე ერეკლემ ერთს გამძლავრებულს ომში თვალი შეასწრო, ერთი მეომარი ომიდამ გამოსულიყო და შუა გადამტყდარი ხმალი ხელთ ეჭირა.

მეფემ შეჰკითხა:

— რას უდგეხარ და არა ომობო?

— ბატონო, ხმალი გადამიტყდა და დამიმოკლდაო, უპასუხა მეომარმა.

— ფეხს წინ წადგამდი და დაგიგრძელდებოდაო, უბძანა მეფემ და ომში შაერია.

ლელო.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ.)

ვერც უკვე ყოფილმა დღესასწაულებმა, ვერც იმ მხიარულებამ, რომელიც დასაბამიდამ თან მოსდევს ამ დღეებს, ვერ დაავიწყა ბეჭდურს სიტყვას სერბიის და ბოლგარიის საქმეები. გაზეთები, როგორც თვით საზოგადოება, ახლაც უწინდელებურათ წყენით და შიშით ადევნებს თვალს მტრობას, რომელიც აგრე უეცრად ჩამოვარდა ორ ნათესავთა ხალხთა შორის. არ ვის არა აქვს იმედი, რომ პაემნიანი ზავი, რომელიც ახლა ჩამოვარდნილია სერბიის და ბოლგარიის შუა, სამუდამო ზავათ გადიქცეს და ორთავ მოპირდაპირეთ ჩააგონ ქარქაშში დასისხლიანებული ხრმალი. ყველას უფრო აშინებს სერბიის მოქმედება, რომელიც თავიდამვე ვერაგული და უსინიდისო ყოფილა

> თვით თავი და წარმომადგენელი სერბიის მართებლობისა, ამბობს «Новости», სრულიადაც არ ჰფარავს თავის სამტრო განზრახვას და, უეჭველია, კონტრიბუციის გადაუხდელობის სურვილი იქნება მიზეზად ხელახლად ომის ატეხისა. კოროლი მილანი უარ-ჰყოფს სერბიის ჯარების დამარცხებას და, მაშასადამე, არც იცნობს თავის თავს ვალდებულათ უზღოს ბოლგარელებს მათი დანახარჯი. ვენაშიაც ამ აზრისანი არიან, მით უფრო რომ სერბიის დამარცხება ავსტრიის დამცირებასაც ჰნიშნავს, რადგანაც მან წააქეზა სერბია საომრად და გაუგზავნა კიდეც თავისი აფიცრები. რა თქმა უნდა, რომ შაგირდთა უვარგისობა ოსტატების სივარგისეს არ ჰნიშნავს და აი მიზეზი თუ რისთვის ავსტრო-ვენგრია, სერბიასავითვე გადაწყვეტით და უსირცხვილოდ უარ-ჰყოფს ბოლგარიის გამარჯვებას.

ამ მოსაზრებათა შემდეგ საყურადღებოა ის მოთხოვნილებაც, რომელიც წარუგზავნია სერბიის მართებლობას ბოლგარიის მართებლობის მიმართ.

> სერბია, ამბობს ზემოაღნიშნული გაზეთი, თხოულობს ბოლგარიელთაგან, ზღვევას იმოდენა ფულისას, რამოდენიც ვითომ დაუხარჯავია მას ბოლგარიელთა ტყვეთა გამოკვებისა გამო. ახირებულ თხოვნაზე ბოლგარიის თავადს უპასუხნია, რომ მისგან დატყვევებულ სერბიელების რიცხვი თუ არ აღემატება, უდრის მაინც ტყვედ წაყვანილ ბოლგარელების რიცხვს. ამასთან სერბია წასულ ომის დროს ხშირად ტყვედ იჭერდა ბოლგარელ გლეხებს, რომელნიც არაფერს შუაში ყოფილან ომის დროსაო.

⁂

«მოსკოვის უწყებების» სტამბოლელი კორრესპონდენტი შემდეგ საგულისხმო ამბებს აუწყებს თავის გაზეთს ხვანთქარის ოჯახებურს ღირსებაზე. აბდულ-ჰამიდი, ამბობს იგი, გულ-მტკივნეულად და თავაზიანად ეპყრობა თავის ძმებს და საზოგადოთ

> გულს-მოდგინედ ადევნებს თვალს ყოველნაირ ამბებს, რომელიც კი შეეხება სხვათა სამეფოთა სახლთა ოჯახობას. ის მეტის მეტად სიამოვნებს ყოველნაირ მოლოცვით და სამძიმარით, რომელიც მოდის მას ევროპიის ხელმწიფეთაგან სხვა-და-სხვა მისი ოჯახისათვის სასიამოვნო ან და საწყენ შემთხვევათა გამო. ამბობენ, რომ გერმანიის მართებლობა დიდის ხერხით სარგებლობს ხვანთქრის ამ გვარ მიდრეკილებით და ხშირად მიუწერს ხოლმე თავის ელჩს ბ. ფონრადოვიცს ინახულოს ხვანთქარი და სასიამოვნო საუბარი გაუწიოს.

რუსეთი

— წელს უწ. სინოდმა უნდა განიხილოს პროექტი სასულიერო-სასწავლებელთა საეკლესიო-სამეურნეო და აგრეთვე თვით სწავლის საქმის მოწყობის შესახებ.

— ფინანსთა-მინისტრის ნება-დართვით, სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკს თავად-აზნაურთათვის და მის განყოფილებათა: ხარკოვისას, დონისას, სარატოვისას, პენზენისას, პოლტავისას, ტამბოვისას და რიაზანისას უნდა დაეწყოთ მოქმედება და სესხთა-გაცემა წარსულის წლის დეკემბრის 21-იდამ, ხოლო ეკატერინოსლავისას 22 დეკემბრიდამ. ფინანსთა მინისტრისაგან გადაწყვეტილია, სესხი იმ ანგარიშით გაიცეს, რომ ათ თუმნიან გირავნობის ფურცელში, ნაღდი 98 მან. მიეცეს. თუ საჭიროება მოითხოვს ამ ანგარიშის შეცვლას, წინ-და-წინვე საყოველთაოდ გამოცხადებულ იქმნება.

— სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ერთს დიდს საქმეს თურმე ამზადებენ სახელმწიფო რჩევაში წარსადგენად. ეს საქმე იმაში მდგომარეობს, რომ რაიმე კანონი დაიდვას იმისთანა, რომელმაც თუ სრულად ხელი არ შეუკრას დროებით ვალ-დებულთა გლეხთა, თავის საკომლოს (ნადელი) გაცემისა და გასყიდვისათვის, საზღვარი მაინც დაუდვას და ამ გზით გაუფრთხილებელ და ფულით დახარბებულ გლეხთ [illegible] მამული როგორმე ხელიდამ არ გამოუცალოთ. ამბობენ, რომ სამინისტრო შესდგომია თუ არა ამ საქმეს, ყველა გუბერნიებიდამ მოუთხოვნია ცნობები და აზრი ამის შესახებ. ჩვენს ტფილისის გუბერნიის პრისუტსტვიასაც მოსვლია ამაზე მოწერილობა და, ამბობენ, პრისუტსტვიას უკვე გაუგზავნია კიდეც ჯეროვანი ცნობანი და თავისი აზრი ამ საგანზედ.

— ამას წინად ახალი წესი გამოვიდა სასმელების წვრილ-წვრილად გასყიდვის შესახებ. ეხლა ამ წესისთვის ისიც დაუმატებიათ, რომ რუსეთში ყველა სოფელს ნება აქვს ითხოვოს სრულიად აიკრძალოს სასმელების გასყიდვა სოფლის საკუთვნო მამულში. ამასთანავე სასმელების საქმეთათვის დაარსებულ დაწესებულებათა მიეწერათ, რომ ამ გვარი თხოვნა შეიწყნარონ ხოლმე.

— პეტერბურგის საქალაქო გამგეობის სტატისტიკურს განყოფილებას საინტერესო ცნობანი შეუკრებია ბავშვების სიკვდილის სიხშირის შესახებ. ამ ცნობებიდამ ჩანს, რომ პეტერბურგში ახლად დაბადებულთა სიკვდილი პირველ წელს ძალიან ხშირია და ასზედ 50 და თითქმის 60 ყმაწვილამდის იხოცება. 10 წლის განმავლობაში ყრმათა მზრდელ სახლში მიცემულ ბავშვებში სიკვდილი ასზე 60 ნაკლები არ იყო. სოფლებში ხომ ასში და 80 იხოცებოდა. ცხადია რომ ასეთი სიხშირე სიკვდილისა მეტის-მეტია და ძალიან შეაფიქრებს [illegible] მრავლებას და ყოვლად საჭიროა, რომ [illegible] ჯეროვანი ყურადღება ექმნეს [illegible] ყრმათა-მზრდელ სახლების [illegible] სანიტარულ მდგომარეობის [illegible] ბას.

— სახელმწიფო რჩევაში შეტანილი წინადადება სამოქალაქო ჩინების გაუქმების თაობაზედ. ჟურნალ-გაზეთებში [illegible] ამ საგანზედ გამართული და [illegible] რი იმათგანი თანაუგრძნობს [illegible] დებას. მოსკოვის გაზეთის «[illegible]დომოსტებს» კი ეს წინადადება საკეთილოდაც მიაჩნია და საბოროტოდაც. საკეთილოდ იმიტომ, რომ ნიჭსა და გონება-გახსნილობას კაცისას, უჩინოთაც გზა გაეხსნება სამსახურში წინ-სვლისათვის, ხოლო საბოროტოდ იმითი, რომ ზოგჯერ ნათელ-მირონობა, ნათესაობა და შემწეობა, რომელიც ხშირად უღირსსაც გზას უხსნის ხოლმე სამსახურში, უფრო ფრთას გაშლის, რადგანაც აქამომდე უღირსს ხანი მაინც უნდა გაეტარებინა სამსახურში, ჩინები მიეღო და ისე დაეჭირა დიდი ადგილი. ამ წინადადების მოწყალებით-კი ყველა უღირსს, ვისაც კი შემწე ჰყავს, ადვილად შეუძლიან სამსახურში მალე ძალიან მაღლა ასკუპდეს.

— ამას წინად გაზეთებში იყო მოხსენებული, რომ ნავთის გამტარის მილის პროექტი ბაქოდამ შავი ზღვის ნაპირამდე ფინანსთა და გზათა სამინისტრომ არ შეიწყნარა და უარ-ჰყოო. ეს ამბავი ზოგიერთში არ გამართლდა. აი ნამდვილ საქმეს როგორ გვაუწყებენ გაზეთები: 1883 წელს რომ სახელმწიფო ქონებათა მინისტრი აქ, ჩვენში მობძანდა, სხვათა შორის სახეში ჰქონდა ბაქოდამ ბათუმამდე მილით ნავთის გაყვანის საქმე ადგილობრივ გაეცნო. ამის შემდეგ ბ. მინისტრი იმაზედ დადგა, რომ ფრიად სასარგებლოა ეგ საქმე და მისის აზრით სახელმწიფო ხარჯით უნდა შესრულებულიყო. და რადგანაც ფინანსთა მინისტრმა ამისათვის თავისუფალი ფული ვერა ჰპოვა, ეს აზრი უარ-ყოფილ იქმნა. ამ ბოლოს

ხანებში სჯა ჰქონდა ამ საგანზედ ორს საზოგადოებას (Техническое общество и Общество для содѣйствія русской торговлѣ и промышленности), რომელმაც გადასწყვიტა, რომ ძალიან კარგი იქნებოდა ეს საქმე ასრულებული იყოს, მაგრამ ხაზინის ფულით კი არა, არამედ კერძო პირთა ფულითა და მეცადინეობით. ეს აზრი სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ თანაგრძნობით მიიღო. აღმოჩნდნენ კიდეც კერძო პირნი, რომელთაც თვითონ იკისრეს ყოველივე ზარალი და მოგება ამ საქმისა და სამინისტროს სთხოვეს შუამდგომლობა გაეწია, რომ მთავრობას ნება დაერთო. მაგალითებრ, ბელგიის ფირმა კოკერილი ამსტერდამის ბანკირებით ხელ-მეწყობილი, მზად არის ამ საქმის შესრულებას შეუდგეს, იმ პირობით, რომ რვა ადლის სიგანის მიწა დაუთმოს მილების დასაწყობად. და თუ სამინისტროს სურს 11 კაპეიკზედ მეტი ფული ნავთზე არ გამოერთვათ გადატანაში ბაქოდამ შავ-ზღვამდე, 12-დამ 20-წლამდე სხვას არავის მიეცეს ნება მილით ნავთის გაყვანისა. ფინანსთა მინისტრი ამ წინადადების დედა-აზრის თანახმა არის, ხოლო გზათა სამინისტროს კი არა სჯერა ამ საქმის სარგებლობა და ამ საგანზედ მისი აზრი წარდგენილია სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში წარსულს მარიამობისთვეს. სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გაუთავებია ამ საგანზედ ყოველი სჯა და ბაასი, თავისი აზრი შეუდგენია და ელის მხოლოდ ჩვენის მთავარ-მართებელის აზრსა და შემდეგ ამისა საქმე წარდგენილ იქნება განსახილველად მინისტრთა კომიტეტში.

გასართობი.

ღმერთო, მე ვიცი, რომ სიჭაბუკე სამუდამოდ არ შემრჩება, ხოლო გთხოვ სამუდამოდ შემარჩინო სიჭაბუკის სიკეთე, ესე იგი, უანგარო გულის წყრომა და უანგარო ცრემლი. (ჰეინე).

* * *

შუათანა ბუნებიანი კაცი თავისვე არსებობას მით აღნიშნავს ხოლმე, რასაცა იქმს, დიდ-ბუნებიანი-კი—მით, რაც თვითონ არის თავის-თავად. (შილლერი).

* * *

სიკვდილი და სიცოცხლე ორი დიდებული დანაბადია ერთისა და იმავე ავტორისა. (მიქელ-ანჯელო).

* * *

პოეზია გვამლევს მას, რაზედაც უარს გვეუბნება ბუნება: ოქროს დროს, თავის-დღეში ჟანგ-მოუკიდებელს გაზაფხულს, თავის-დღეში დაუჭკნობელს, ღრუბელ-გადაურილს ბედნიერებას და დაუბერებელს სიჭაბუკეს. (ბერნე).

* * *

ღვთისათვის უფრო საამურია სახმოლხინარისა, ვიდრე გულ-დაწყვეტილისა. (ლესსინგი).

* * *

ერთხელ ფილიპე, ალექსანდრე მაკედონელის მამა სამართალს უჩრიდა ერთს დანაშაულში შეწამებულს. განსამართლების დროს დაეძინა და ყური ვეღარ ათხოვა შეწამებულის გასამართლებელს საბუთებს და ბოლოს, როცა მაინც და მაინც მსჯავრი დასდო და სასჯელი განუჩინა, შეწამებულმა წამოიძახა: მე უჩივლელად არ დავაგდებ ამ საქმესაო.

— მერე ვისთან იჩივლებ?—შეუტია წყრომით ფილიპემ.

— თვითონ შენთანვე. ხელმწიფეო, თუ კიდევ არ დაიძინებ განსამართლების დროს.

ისტორია ამბობს, რომ ფილიპემ, არამც თუ საჩივრის ნება მისცა, არამედ ხელ-მეორედ დიდის ყურადღებით მოისმინა საქმე და გაამართლა შეწამებული.

ლამაზი ანეტა. ბოლგარიისა და სერბიის ომის დროს ბოლგართა ლაშქარში ერთი ყმაწვილი პარუჩიკი ერია ასეთი გულადი, რომ დიდი და პატარა გაოცებული იყო. ეს პარუჩიკი კი თურმე ბოლგარიის მთავარს ალექსანდრეს არა შორდებოდა მაშინაც-კი, როცა ომის დიდ ცეცხლში იყო ხოლმე. არც მაშინ ჩამოურჩებოდა ხოლმე, როცა მთავარი წინ-უძღოდა იერიშით მისულს ჯარს. ყველას ეგონა, რომ ამისთანა ვაჟ-კაცობას და მხნეობას მამულისა მიმართ სიყვარული წინ-უძღვის და აბედვინებსო, მაგრამ სულ სხვა სიყვარული გამოჩნდა: თურმე ნუ იტყვით, პარუჩიკის მუნდირ-ქვეშ სძგერდა გული ლამაზის ანეტასი. მოგეხსენებათ ბოლგარიის მთავარი ყმაწვილი კაცია და უცოლო და ჯერ კიდევ ბერლინში ყოფნის დროს შეუსწვრია თვალი ამ საუცხოვო ქალისათვის და როცა ბოლგარიაში წამოსულა, გულადი და ლამაზი ანეტაც თან გამოჰყოლია. ბოლგარიის მანდილოსნები დიდხანს თურმე ჯავრობდნენ და უბად-ალებული ჰყვანდათ ლამაზი ანეტა, მაგრამ, მას შემდეგ რაკი მისი ვაჟ-კაცური ღვაწლი ნახეს, ყოველივე შეუნდეს.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ **1886** წელიწადია.

ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14,

ამისი ქორონიკონი— უოჱ—478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მბ=42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3,

ყველიერი მოდის 16 ფებერვალს, დიდ-მარხვა — 23 ფებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება — 22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, ამავ დღიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

იანვარი 31 დღით არის.

4 დღე შაბათი. წმ. 70 მოციქულთა, მოწამე ზოსიმესი, ათანასე და ესტატესი. კათოლიკეთა—ეპ. ტიტოსი, გრიგოლ და ბენედიქტესი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—10—5. ტფილისში: მზე ამოდის 7—25 დ., ჩადის 4—55 ნ.-დ. მთვარე ამოდის 2—34 ნღ. ჩადის 3—41 ნღ. მთვარე თორმეტის დღისა.

5 დღე კვირა. წინა-დღესასწაული განცხადებისა უფლისა. მარხვაა. სომხებისა—კვირა-ძალი შობისა და ნათლის-ღებისა ქრისტესი (ნავაკატიკი); კათოლიკეთა წმ. მოწ. ტელესფორისა, ემილიანესი და სიმონისა. ჭეშმარიტი შუა დღე—12—10—24. ტფილისში: მზე ამოდის—7—24 დ., ჩადის—4—56 ნდ. მთვარე ამოდის 3—36 ნღ.—ჩადის 4—46 ნღ.

6—დღე ორშაბათი. ნათლის-ღება უფლისა, სომხებისა—შობა და განცხადება უფლისა; ხსნილია 8 დღე ოთხშაბათს-პარასკევსაც. კათოლიკეთა: ნათლის-ღება. კასპარისა, მელქიორისა და ბალთაზარისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—10—43. ტფილისი: მზე ამოდის 7—24 დ., ჩადის 4—57 ნღ., მთვარე ამოდის 4—36 ნდ, ჩადის 5—40 ნდ.

7 დღე სამშაბათი. კრება წმ. წინამორბედის და ნათლის-მცემელისა იოანესი. სომხებისა: მიცვალებულთა დღე (ჭიშატაკ მერელოც), კათოლიკეთა: მმ. თეოდორე, ლუცინია და იულიანესი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—11—2. ტფილისში მზე ამოდის 7—23 დ., ჩადის 4—58 ნდ. მთვარე ამოდის 5—36 ნდ. ჩადის 6—46 ნდ.

გამოსადეგი ცნობანი.

მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. და 35 წ. დ.
ბათუმიდამ მოდის — — 10 ს. და 25 წ. ღ.
ბაქოში მიდის — — — 10 ს. და 45 წ. ღ.
ბაქოდამ მოდის— — — 8 ს. ,, — ,, დ.

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის — 3 ს. და 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. და 24 წ. ნ. დ.

მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა:

ტფილისსა და კავკავ შუა.

პირდა-პირ მსვლელნი ღამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს.
კავკავში შედის -- — 5 ს. 15 წ.
კავკავიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31

ღამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.
კავკავში შედის — 5 ს. 11; 6—43 საღ.
კავკავიდამ გამოდის 9 ს დილით.
ტფილისში მომოდის 4 ს. 44; 5—25 საღ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით რადგან მარტო ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით; მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად პატარა სურათებიანი წიგნი (33 სურათია), რომელსაც ეწოდება:

შალვას თავ-გადასავალი.

ცახელისა

ფ. 20 კ. ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში. (3—1)

Двоиной волшебный фонарь для туманныхъ картинъ освѣщаетъ керосиномъ и друмундовымъ свѣтомъ. Также разныя оптическія и инженерныя вещи и терескопъ. Адресъ: Чугуреты, Панасѣевская улица, домъ Таріелова. 1—1

საპოლიტიკო და სალიტერატურო

გაზეთი

„ივერია"

1886 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც

ხელ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

12 თვით	10 მ. — კ.	6 თვით	6 მ. — კ.
11 »	9 » 50	5 »	5 » 25 „
10 »	8 » 75 »	4 »	4 » 75 „
9 »	8 » — »	3 »	3 » 50 „
8 »	7 » 25 »	2 »	2 » 75 „
7 »	6 » 50 »	1 »	1 » 50 „

სამზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით.

სოფლის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაეთმობათ 8 მანათად.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты

«ИВЕРІЯ.»

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში — ერთი მანათი.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდამ გაეგზავნება.

განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში, შაჟერდოვის საგაზეთოში, ცენტრალურს და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში.

ფასი განცხადების დაბეჭდისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდი ხელ-ნაწერები, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირ-და-პირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალ იქმნება ყოველ-დღე პირველ საათიდამ სამს საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.

ОТКРЫТА ПОДПИСКА
на 1886 годъ

на армянскую ежедневную, политико-литературную газету

„НОРЪ-ДАРЪ".

(III годъ изданія)

Газета въ 1886 году будетъ выходить по прежней программѣ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкою и пересылкою на годъ 10 р., на шесть мѣсяцевъ 6 р., на 3 мѣсяца 3 р. 50 коп., на 1 мѣсяцъ—1 р. 50 коп.

Подписка принимается съ 1-го числа каждаго мѣсяца.

Подписка и объявленія (по 2 коп. за слово на всѣхъ языкахъ и съ переводомъ на армянскій) принимаются исключительно въ конторѣ редакціи «НОРЪ-ДАРЪ».

Редакція «Норъ Даръ» помѣщается за почтою, на Тройцкой улицѣ, противъ Тройцкой церкви, № 10.

Иногородные адресуются: Тифлисъ. Редакція «Норъ-Даръ».

Редакторъ-издатель С. Спандарянцъ.

(5—1)

შაბათს, 4 იანვარს 1886 წელსა დილის 11 საათზედ ტფილისის საქალებო გიმნაზიის დარბაზში, სასახლის პირ-და-პირ მოხდება პირველი საზოგადო კრება ახლად დაარსებულ ტფილისის საზოგადოების ურთიერთ დახმარებისა მასწავლებელთა და აღმზრდელთა ქალთა შორის. (2—1)

გრ. ჩარკვიანის

ქართული წიგნის მაღაზიაში

ისყიდება

ყოველგვარი ქართული წიგნები

ტფილისის: ლოლის - მელიქოვის ქუჩაზედ ზუბალოვის სახლებში გარეშე პირთათვის ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ Григорія Чарквіани. 3—1

Дозволено цензурою Тифлисъ 3 января, 1885 года ექთიმე ი. ხელაძის სტამბა სასერნის ქუჩაზე, საკუთარს სახლებში. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.